ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 491

“20” ოქტომბერი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი №115-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.14.001.031) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი №115-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.14.001.031) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 27 სექტემბრის №23.1435.1613 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი №115-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.14.001.031) მდებარე უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ამავე დანართით გათვალისწინებულ პირთათვის, გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

დანართი 1

სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ქ. თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N115		
		ფართი (კვ.მ.)	სართული	საკადასტრო კოდი
იზოლდა აკობია	19001004859	15.44	სართული 1	01.17.14.001.031.01.510
ბაბო ბახტურიძე	01014001150	18.27	სართული 1	01.17.14.001.031.01.511
ანდრო მაჭავარიანი	01014001149	31.49	სართული 2	01.17.14.001.031.01.503